



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-31.31203011

თარიღი:27/10/2020

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18

2020 წლის 27 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში (ვებგვერდი 26.12.2019, სარ. კოდი:190020020.35.112.016416) და დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-15, მე-16, მე-19 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი I. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	16,796.4	19,523.7	21,863.0	10,943.0	10,920.0
გადასახადები	2,437.5	9,226.9	7,794.6	7,794.6	-
გრანტები	13,337.2	9,114.4	11,140.0	220.0	10,920.0
სხვა შემოსავლები	1,021.6	1,182.4	2,928.4	2,928.4	-

სსიპ ბუფარაშვილის	4,942.6	4,942.6	4,942.6	4,942.6	-
II. ხარჯები	10,769.8	10,498.7	11,894.8	10,520.9	1,373.9
შრომის ანაზღაურება	4,318.5	4,687.0	4,942.6	4,942.6	-
საქონელი და მომსახურება	3,413.9	4,503.3	4,657.7	4,363.0	294.7
პროცენტი	53.7	29.1	33.2	33.2	-
სუბსიდიები	405.0	398.5	427.7	427.7	-
სოციალური უზრუნველყოფა	555.8	586.0	553.9	553.9	-
სხვა ხარჯები	2,022.9	294.8	1,279.8	200.5	1,079.2
III. საოპერაციო საღდო	6,026.6	9,025.0	9,968.2	422.2	9,546.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,615.2	9,268.1	11,532.8	1,294.5	10,238.3
ზრდა	7,803.6	9,307.7	11,542.5	1,304.2	10,238.3
კლება	188.4	39.6	9.7	9.7	
V. მთლიანი საღდო	- 1,588.6	- 243.1	- 1,564.6	- 872.4	- 692.2
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,588.6	- 272.1	- 1,622.7	- 930.5	- 692.2
ზრდა	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-		
კლება	1,588.6	272.1	1,622.7	930.5	692.2
ვალუტა და დეპოზიტები	1,588.6	272.1	1,622.7	930.5	692.2
VII. ვალდებულებების ცვლილება	-	- 29.0	- 58.1	- 58.1	-
კლება	-	29.0	58.1	58.1	-
საშინაო	-	29.0	58.1	58.1	-
სესხები	-	29.0	58.1	58.1	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-		
VIII. ბალანსი	- 0.0	0.0	0.0	- 0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	16,984.8	19,563.3	21,872.7	10,952.7	10,920.0
შემოსავლები	16,796.4	19,523.7	21,863.0	10,943.0	10,920.0
არაფინანსური აქტივების კლება	188.4	39.6	9.7	9.7	-
გადასახდელები	18,573.4	19,835.4	23,495.4	11,883.2	11,612.2
ხარჯები	10,769.8	10,498.7	11,894.8	10,520.9	1,373.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,803.6	9,307.7	11,542.5	1,304.2	10,238.3
ვალდებულებების კლება	-	29.0	58.1	58.1	-
ნაშთის ცვლილება	- 1,588.6	- 272.1	- 1,622.7	- 930.5	- 692.2

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 11,894.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	საბელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	10,769.8	10,498.7	11,894.8	10,520.9	1,373.9
შრომის ანაზღაურება	4,318.5	4,687.0	4,942.6	4,942.6	-
საქონელი და მომსახურება	3,413.9	4,503.3	4,657.7	4,363.0	294.7
პროცენტები	53.7	29.1	33.2	33.2	-
სუბსიდიები	405.0	398.5	427.7	427.7	-
სოციალური უზრუნველყოფა	555.8	586.0	553.9	553.9	-
სხვა ხარჯები	2,022.9	294.8	1,279.8	200.5	1,079.2

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 11,532.8 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 11,542.5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 9,7 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	26.6	59.4	145.1
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	26.6	59.4	78.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7,113.7	6,833.1	9,773.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,193.2	3,335.4	5,497.1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	416.2	840.9	945.8
02 03	გარე განათება	-	-	124.3
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	91.2	82.3	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	25.0	0.6	49.0
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	287.8	403.1	881.6
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,100.3	1,430.9	1,527.3
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა		740.0	748.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	177.4	2.8	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	19.0	2.8	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	158.4	-	-
04 00	განათლება	36.2	532.4	794.2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	6.0	62.2	44.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	30.1	470.2	750.2
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	372.1	1,709.9	829.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	353.4	1,689.5	806.4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	18.7	20.4	23.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	77.7	170.0	0.8

06 01	ჯანმრთელობის დაცვა	77.7	170.0	0.8
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	7,803.6	9,307.7	11,542.5

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	188.4	39.6	9.7
ძირითადი აქტივები	156.2	1.0	-
არაწარმოებული აქტივები	32.2	38.6	9.7
მიწა	32.2	38.6	9.7

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,476.4	2,820.3	3,157.0
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,476.4	2,791.2	3,123.8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,476.4	2,789.4	3,042.5
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	1.8	81.3
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	-	29.1	33.2
7.2	თავდაცვა	122.3	127.8	133.4
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	122.3	127.8	133.4
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5,272.4	3,455.0	5,632.5
7.4 5	ტრანსპორტი	5,272.4	3,455.0	5,632.5
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,248.2	3,433.4	5,611.5
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	24.2	21.5	21.0
7.5	გარემოს დაცვა	780.8	1,026.5	1,249.6
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	780.8	1,026.5	1,249.6
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4,486.6	4,088.9	5,960.3
7.6 1	ბინათმშენებლობა	2,036.8	192.6	1,117.2
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	158.4	-	-
7.6 3	წყალმომარაგება	447.2	883.6	1,016.6
7.6 4	გარე განათება	318.1	319.8	461.3
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,526.2	2,692.9	3,365.2
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	198.8	307.5	147.8
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	198.8	307.5	147.8
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,413.8	3,896.1	3,063.9
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,312.7	2,742.3	1,879.6
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,061.1	1,113.8	1,144.2
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	40.0	40.0
7.9	განათლება	2,231.8	3,453.0	3,467.5
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2,220.4	2,457.0	2,399.6

7.9 2	ზოგადი განათლება	11.4	996.0	1,067.8
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	11.4	996.0	1,067.8
7 10	სოციალური დაცვა	590.3	631.4	625.5
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	106.3	90.0	90.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.6	1.5	1.5
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	45.3	40.0	49.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	30.0	36.0	37.2
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	408.2	463.9	447.8
	სულ	18,573.4	19,806.4	23,437.3

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 1,564.6 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 9,968.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	6,026.6	9,025.0	9,968.2
მთლიანი სალდო	- 1,588.6	- 243.1	- 1,564.6

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,467.5 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
04 00	განათლება	3,467.5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,399.6
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-
04 03	განათლების ღონისძიებები	23.0
04 04	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	750.2
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	294.7

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2399.6
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი		
	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე		

პროგრამის აღწერა და მიზანი	კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1250-ზე მეტი ბავშვი. ბავშვებში ჯამში დასაქმებულია 100 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბავშვ-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბავშვ-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბავშვ-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბავშვ-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბავშვ-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1250-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		23
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
პროგრამის		პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას ;	

აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		750.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის საჯარო სკოლები სადაც მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწესრიგება შემდეგ ლოკაციებზე: სოფ ნინოშვილის საჯარო სკოლა, სოფ ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსი.		
	ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ნინოშვილის საჯარო სკოლა		
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსი		
	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შუხუთის და სუფსის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია, ჩოჩხათის საჯარო სკოლაში სველი წერტილის მოწყობა და ღრმაღელის სკოლის შიდა ელექტროფიკაციის მოწყობის სამუშაოები, ლანჩხუთის მე-2 საჯარო სკოლის საპირფარეშოს მშენებლობა რეაბილიტაცია და სკოლის დარბაზის რეაბილიტაცია.		
	ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ნინოშვილის საჯარო სკოლა და სოფ. ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსის სველი წერტილები იქნება კეთილმოწყობილი, უსაფრთხო და კომფორტული. 2019 წელს რეაბილიტირებული სველი წერტილებით ისარგებლებს 110 მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. აქედან, ჩიბათის საჯარო სკოლის ჭალის კორპუსი 32 და სოფ. ნინოშვილის 78 მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	04 05		294,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (დელეგირებული უფლებამოსილებით)		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა.პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება 3405 მოსწავლის დახმარება		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,063.9 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,063.9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,879.6
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,057.6
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	478.0
05 01 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	180.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	130.0
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	269.6
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	20.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	802.1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,179.1
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,135.2
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	815.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	320.2
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	3.9
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	5.1

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		478
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტული ცენტრი აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (28 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (35 ბავშვი); რაგბი (45 ბავშვი); ცურვა (36 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (24 ბავშვი); კარატე (60 ბავშვი); ჭადრაგი (37 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი) და გოგონათა ფეხბურთი (25 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 350 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 71 ადამიანი, მათ შორის, 30 ტექნიკური და 12 ადმინისტრაციული პერსონალი და 29 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;		

	კოდი	დაფინანსება ათას ლარში
--	------	------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	180,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას(ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში 130,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთის ლანჩხუთს“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. პროგრამის მიზანია ქალთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში 269.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის 6 ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია და ვარჯიშობს 180 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 42 ადამიანი, მათ შორის 35 ტექნიკური და 7 ადმინისტრაციული პერსონალი და 18 მწვრთნელი. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		20,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:		
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით;		
	ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთველების წახალისება ფულადი ჯილდოთი;		
	ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;		
	სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;		
	პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადი და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია:		
	ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება		
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადი, სპორტ ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 03		802,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის სპორტის ობიექტები, რომელთა ინფრასტრუქტურას არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული შენობების კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შენობის კაპიტალური რემონტი შემდეგ ლოკაციაზე: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჯორდანია ქუჩის მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაცია. - საფეხბურთო აკადემიის მოედნის განათება და ეზოს კეთილმოწყობა - ბენეფიციარი 4500 ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საფეხბურთო აკადემიის შენობის პირველ სართულზე იატაკის მოწყობა და გაზის და წყლის ქსელში ჩართვა.		
	ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბავშვთა საფეხბურთო		

მოსალოდნელი შედეგი	სკოლის შენობა იქნება სრულად რეაბილიტირებული, რეაბილიტირებული შენობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კეთილმოწყობილი იქნება აკადემიის მოედანი და ეზო.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		815
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 5 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 400 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე. დაფინანსება 315,8 ათასი ლარი. მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 19000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 2000-ს. დაფინანსება 138,3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 112000 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე. დაფინანსება 110,6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. 2018 წელს თეატრში გაიმართა 1 დრამატული სპექტაკლის პრემიერა, აღდგა და განახლდა წინა წლებში დადგმული 3 სპექტაკლი. თოჯინების თეატრში დაიდგა 2 ახალი წარმოდგენა, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს. დაფინანსება 96,1 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა)		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		320,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება		
ქვეპროგრამის	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 2 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1 სკოლა.		
	სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 319 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 39 თანამშრომელს. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 150 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებულია 18 თანამშრომელი,		

